# ასა-ს მქონე ბავშვების მამების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და განათლების გავლენა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობაზე

ქეთინო კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

**განაცხადი**

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი,ვაცხადებ,რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ უკვე აქამდე გამოქვეყნებულ,გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“*

ქეთინო კაპანაძე

05.07.2020

## აბსტრაქტი

მოცემულ კვლევაში შესწავლილია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა მამების ფსიქიკური ჯანმრთელობისმდგომარეობადა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა.გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონული კითხვარის დახმარებით , კვლევაში მონაწილეობა მიიღო, როგორც ასა-ს მქონე ბავშვთა მამებმა, აგრეთვე ტიპური განვითარების მქონე ბავშვთა მამებმა. მონაცემები შეგროვდა შემდეგი ინსტრუმენტების საშუალებით: დეპრესიისა ( PHQ 9) და ზოგადი შფოთვითი აშლილობის( GDA-7) საკვლევი კითხვარები, დემოგრაფიული კითხვარი და დამატებითი ორი კითხვით, რომელიც მოიცავდა მამების ჩართულობას არაფორმალურ და ფორმალურ განათლებაში.კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ასა-ს მქონე მამების დეპრესიის მაჩვენებელი მაღალია, ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მამების დეპრესიის მაჩვენებლის, ხოლო შფოთვის მაჩვენებელი სტატისტიკურად არ განსხვავდება ტიპური განვითარების მქონე ბავშვთა მამების შფოთვის მაჩვენებლის. რაც შეეხება ასა-ს მქონე მამების ჩართულობას ბავშვის არაფორმალურ/ფორმალურ განათლებაში , მამების განათლების დონე განსაზღვრავს მათ ჩართულობას ფორმალურ/არაფორმალურ განათლებაში. მამები უმაღლესი განათლებით და დეპრესიის სიმპტომების გამოვლინებით, ჩართულნი არიან ბავშვების ფორმალურ/არაფორმალურ განათლებაში.



**საძიებო სიტყვები:** აუტიზმი, აუტიზმის მქონე ბავშვების მამების ფსიქიკური ჯანმრთელობა, აუტიზმის მქონე ბავშვის მამების ჩართულობა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში.

## Abstract

This paper studies paternal mental health and involvement in education of fathers of autistic children. Both fathers of autistic children and fathers of typical developing children, responded to an e-survey. Survey questions included assessments of depression (PHQ9), anxiety (GDA-7) and a wide range of socio-economic variables. Using these responses, this study shows that the level of depression is statistically different between the fathers of autistic children and typical developing children whereas the level of anxiety is not statistically different between them. Furthermore, this study shows that controlling for paternal involvement in their children's education causes the coefficient for depression to become statistically insignificant.

**Keywords:** autism, fathers of autistic children, paternal involvement in education of autistic children.

**მადლობა**

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს დარეჯან კახიანს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე ჩართული იყო და მეხმარებოდა მის განხორციელებაში.